სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ქეთევან ლოთიშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	92	100

ხელმოწერა _____

თარიღი 17.05.2024 წ.

ლევან მიქაბერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ქეთევან ლოთიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (სულ 18) მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა ქეთევან ლოთიშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34² მუხლით გათვალისწინებული წესით, კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას გავეცანი სრულყოფილად.

საგულისხმოა, რომ კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაშიც მონაწილეობდა, რომლის ფარგლებშიც მასთან გასაუბრება გაიმართა. ორივე კონკურსის პროცესში გასაუბრებები ჩატარდა 2-3 დღის ინტერვალით. კანდიდატი ჩემს მიერ პირველი კონკურსის ფარგლებში უკვე შეფასდა. რის გამოც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით გამოცხადებულ კონკურსში მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვითვალისწინებ ორივე კონკურსის შედეგს.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:
კანდიდატი არის 35 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012წ.);
სპეციალობით მუშაობს 13 წელი, კერძოდ:
2011 წლის 14 აპრილიდან - 2014 წლის 30 იანვრამდე დანიშნული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივნის თანამდებობაზე (2013 წლის 20 სექტემბრიდან - 8 დეკემბრის ჩათვლით დაკისრებული ჰქონდა მოსამართლის თანაშემწის მოვალეობები);

2014 წლის 30 იანვრიდან - 2019 წლის 2 ივლისამდე თბილისის საქალაქო სასამართლოში ეკავა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია;
2019 წლის 2 ივლისიდან - 2023 წლის 11 ივლისამდე ეკავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის პოზიცია;
2023 წლის ივლისიდან 2024 წლის ივლისამდე - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.
წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. გამოარჩევენ კანდიდატის გულწრფელობას, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობის გრძნობასა და კეთილსინდისიერებას. განმარტავენ, რომ კანდიდატი არის პუნქტუალური, თავაზიანი და პრინციპული პიროვნება. აქვს მაღალი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი (თანამსესხებელი), დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი - 1299 კვ.მ. გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ატენი (20%); მიწის ნაკვეთი - 3879 კვ.მ. გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ატენი (25%); მიწის ნაკვეთი - 5888 კვ.მ. გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ატენი (16,67%); ბინა - 44.7 კვ.მ. თბილისი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რამდენიმე ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.

მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი (რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 4).

კანდიდატს არ აქვს პუბლიკაციები და ნაშრომები.

სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, კანდიდატს ადმინისტრაციულ სამართალში აქვს მაღალი თეორიული ცოდნა და პრაქტიკაში მისი გამოყენების მაღალი დონე. საქმის ფაქტობრივ გარემოებებს აძლევს სწორ სამართლებრივ შეფასებას. მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და სწორ სამართლებრივ ანალიზს. სწრაფად და დამაჯერებლად შეუძლია მიღებული გადაწყვეტილებების ლოგიკური დასაბუთება. სემინარული მუშაობისას გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და კვალიფიციურად. სამოქალაქო სამართალში კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც ვლინდებოდა მის მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებისას. მსმენელი ყოველთვის სიღრმისეულად, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართების განზოგადების ჭრილში სწავლობდა და იკვლევდა, როგორც პროცესუალურ, ასევე მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებს. მას აქვს მოსმენისა და რჩევა-დარიგების გააზრების უნარი. აზრის გამოხატვის, კამათისა თუ დისკუსიის დროს არის დამაჯერებელი, ეთიკური და ზომიერი. სისხლის სამართალში ქეთევან ლოთიშვილს კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები/გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებული და არგუმენტირებულია, გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:
გადაწყვეტილების დასაბუთება და ნორმის განმარტება - GIZ – 2018 წელი;
ბავშვის უფლებათა კოდექსი - Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG) - 2021 წელი;
გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2023 წელი და სხვა;
არ ეწევა პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას;
2012 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა მოსამართლის თანაშემწის სასწავლო კურსი;
ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:
პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

მოძიებული მასალებისა და ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის რამდენიმე ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად. კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება.

რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, შეუვალ და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. ამდენად, მიმაჩნია, რომ რომ კანდიდატი აკმაყოფილებს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას. არის თავდაჭერილი და ზრდილობიანი. კანდიდატის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. რეკომენდატორები კანდიდატს თავაზიან და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია უცნობია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

დასკვნა - კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ცალკეული მახასიათებლების შედეგების გათვალისწინებით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:
საჯარო მოსმენის ფარგლებში კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური. გამოავლინა სხვადასხვა საკითხების, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა. დასმულ კითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, სრულყოფილი და დამაჯერებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 24 ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას, ვინაიდან კანდიდატს არ აქვს წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი, ნაშრომი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მისი შეფასება ამ კრიტერიუმით, დავეყრდენი დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორთა დახასიათებებსა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგებს, რაც მაძლევს საფუძველს სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასო - 24 ქულით.

კანდიდატი მეტყველებს გამართულად, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. აქვს სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. არის მტკიცე და დამაჯერებელი. დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების, რეკომენდატორთა დახასიათებებისა და კანდიდატთან გასაუბრების შედეგად მივიჩნიე, რომ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -19 ქულით.

კანდიდატი არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული.
კანდიდატი წლების განმავლობაში საქმიანობდა სასამართლო სისტემაში სხვადასხვა პოზიციაზე (იყო სასამართლო სხდომის მდივნი და მოსამართლის თანაშემწე).

კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად. ამდენად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, პროფესიული თვისებების მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს -15 ქულით.

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირადაა ჩართული. მონაწილეობს სხვადასხვა შეხვედრებსა და სემინარებში. ზრუნავს თვითგანვითარებაზე. მას გააჩნია ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის. ამდენად, აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 7 ქულით.

კანდიდატი არ ეწევა აკადემიურ/სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა იგი მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში. ამდენად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე - 3 ქულით.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, კანდიდატს ვაფასებ - 92 ქულით.

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

ხელმოწერა ----------

თარიღი ---17.09.2024წ.---